



გიორგი მაქარაშვილი

ისტორიული მასალები
კვიპროსისა და საქართველოს
ეკლესიების ურთიერთობების
შესახებ

გიორგი მაჭარაშვილი

ისტორიული მასალები
კვიპროსისა და საქართველოს
ეკლესიების ურთიერთობების
შესახებ

თბილისი
2006

წიგნი მოგვითხრობს იმ სულიერი კავშირ-ურთიერთობების შესახებ, რომელიც ძველი დროიდან არსებობდა კვიპროსსა და საქართველოს შორის. თავდაპირველად იგი ჩაფიქრებული იყო, როგორც მეხუთე წიგნი სერიიდან „და ეკლესიები“. აღნიშნული სერია ითვალისწინებდა ცალ-ცალკე წიგნებად გამოცემას კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და სხვა ეკლესიებთან საქართველოს ურთიერთობის ამსახველი მასალებისა, ასევე ამ ეკლესიების ისტორიების გამოცემას პერიოდების მიხედვით. 2002 წელს თითქმის უკვე დასრულებული გვექონდა ალექსანდრიისა და საქართველოს ეკლესიების ისტორიული ურთიერთობების ამსახველი ანალოგიური წიგნი, ასევე კონსტანტინეპოლის ეკლესიის ისტორია (ოსმალური პერიოდისა) და იერუსალიმის ეკლესიის ისტორია (პირველი საუკუნეების). მაგრამ აღნიშნული სერიის მომზადება შეფერხდა და სამომავლოდ გადაიდო. მიუხედავად ამისა, მასალების შეგროვება არ შეგვიწყვეტია და მომავალში აუცილებლად განვახორციელებთ ჩანაფიქრს.

ეს წიგნი დაიწერა 2002 წელს, მაგრამ, ქვეყნდება დაგვიანებით. ამიტომ მასში 2001 წლის შემდგომ მომხდარი მოვლენები ასახული არ არის.

საქართველოს უბველესი დროიდან აკავშირებდა ეკლესიური ურთიერთობები წმიდა მიწასთან. ამ ურთიერთობების შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, მათ შორის ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებშიც (მაგალითად, როგორებიცაა შუშანიკის წამება, კოსტანტი-კახის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და სხვანი).

აქედან გამომდინარე, პირდაპირი ისტორიული ცნობების არარსებობის მიუხედავად, მაინც დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ასეთივე ძველი დროიდან იარსებებდა ეკლესიური ურთიერთობები უშუალოდ კვიპროსსა და საქართველოს შორის. და ეს ურთიერთობები არა მხოლოდ იმიტომ ჩამოყალიბდებოდა, რომ კუნძული კვიპროსი მდებარეობს წმიდა მიწისკენ მიმავალ საზღვაო გზაზე, არამედ იმიტომაც, რომ თვითინ კვიპროსი (ანუ, როგორც მას სამართლიანად უწოდებენ, წმიდანების კუნძული) თავისთავად იწვევდა პილიგრიმთა ინტერესს.

ქრისტიანი მომლოცველები პირველი საუკუნეებიდანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ კვიპროსზე არსებული სიწმიდეებისადმი, როგორებიცაა, მაგალითად, წმიდა სოლომონიას კატაკომბები¹, ადგილი, სადაც პავლე მოციქულმა შერისხა ელიმას მოგვი², მაცხოვრის მიერ მკვდრეთით

¹ . Иеромонах Даниил (Сычев), Православный Кипр (основные заметки). ელ. ვერსია: http://voskres.ru/obiteli/kipt_printed.htm

² . Иеромонах Даниил, ხს. პუბლიკაცია; Ольга Курова, Остров Святых. ელ. ვერსია: <http://pravoslavie.ru/cgi-bin/sykon/client/display.pl?sid=538&did=368>

აღდგენილი მართალი ლაზარეს მეორე განსასვენებელი³ და სხვა მრავალი.

სწორედ წმიდა ლაზარეს შესახებ არსებული ორი საეკლესიო გარდამოცემა გვაფიქრებინებს, რომ კვიპროსსა და საქართველოს შორის ძველთაგანვე იარსებებდა ეკლესიური ურთიერთობები.

ერთი გარდამოცემა ისტორიული ხასიათისაა და გვაუწყებს იმის შესახებ, რომ იუდეველები ძალზედ ემტერებოდნენ მართალ ლაზარეს. მისი მოკვლაც ეწადათ, რადგან იგი იყო ცოცხალი მოწმე მათ მიერ ჯვარცმული მაცხოვრისგან აღსრულებული ერთ-ერთი უდიდესი სასწაულისა. მანამდე ასეთი რამ არ ენახათ ისრაელის შვილებს, რომ ოთხი დღის მკვდარი მიცვალებული, რომლის სხეულიც უკვე იხრწნებოდა და ყარდა, როგორც ეს სახარებაშია დაწერილი, ვინმეს მკვდრეთით აღედგინოს.

ამ დევნის გამო მართალი ლაზარე იძულებული გამხდარა გადახვეწილიყო თავისი სამშობლოდან. ამგვარად, ლტოლვილმა ლაზარემ მიაშურა კუნძულ კვიპროსს და იქ ჰპოვა თავშესაფარი. სწორედ კვიპროსზე შეხვდნენ ლაზარეს პავლე და ბარნაბა მოციქულები და მას ქალაქ კიტიონის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი⁴.

კვიპროსზე მოღვაწეობისას მართალი ლაზარე დიდი პატივის ღირსი გახდა - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი პირადად ეწვია კუნძულს მის მოსანახულებლად იოანე ღმრთისმეტყველის თანხლებით და თავისი ძისა და ღმრთის

³ . Иеромонах Даниил, бс. Публикация; Ольга Курова, бс. Публикация; Скурат К.Е., История Православных Церквей, учебное пособие, 2, М., 1994 г., глава 5, Кипрская Православная Церковь. ელ. ვერსია: <http://www.sedmitza.ru/index.html?did=4818>

⁴ . Иеромонах Даниил, бс. Публикация; Ольга Курова, бс. Публикация.

მეგზარს თავისივე ხელით შეკერილი სამღვდელმთავრო ომოფორი უსახსოვრა⁵.

მეორე გარდამოცემა წმიდა ლაზარეს შესახებ ეგზეგეტიკური და მისტიკური ხასიათისაა. მხედველობაში გვაქვს X საუკუნეში საბაწმიდისა და სინაწმიდის სავანეებში მოღვაწე⁶ ქართველი მწიგნობრის იოანე-ზოსიმეს ცნობილი თხზულება ქართული ენის შესახებ, საიდანაც ვგებულობთ, რომ „...სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან“⁷.

ამგვარად, ცხადია, რომ კვიპროსი ქართველთათვის იმთავითვე გაცილებით მეტი მნიშვნელობის მქონე იყო, ვიდრე უბრალოდ წმიდა მიწისკენ მიმავალ გზაზე მდებარე კუნძული. აქ ქართველებს სხვა საეკლესიო სიწმიდეებთან ერთად ეგულებოდათ ლაზარე ოთხი დღისას საფლავი - იმ ლაზარესი, რომლის სახელიც ქრისტესმოყვარე ქართველ ერთან იყო გაიგივებული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართველები ადრიდანვე შეიტანდნენ გარკვეულ წვლილს კვიპროსის სამონასტრო ცხოვრებაში, რომელიც ფართოდ გაიშალა ბიზანტიურ პერიოდში.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და კვიპროსის სამოციქულო ეკლესიების ურთიერთობები ნამდვილად ძალიან ადრეული დროიდან არსებობდა, ამ სულიერი ურთიერთობების ამსახველი ისტორიული ცნობები მხოლოდ XI საუკუნიდან მოგვეპოვება⁸. როგორც ჩანს, უფრო

⁵. Иеромонах Даниил, ხს. პუბლიკაცია.

⁶. ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, თბ., 1984 წ., გვ. 130.

⁷. სინური მრავალთავი, ავ. შანიძის გამოცემა, თბ., 1959 წ., გვ. 283.

⁸. მართალია კვიპროსის ქართულ სავანეში გადაწერილი „ფსალმუნთა თარგმანება“ და მასზე დართული ანდერძი თედო ჟორდანიამ X საუკუნით დაათარიღა, მაგრამ ეს დათარიღება საყოველთაოდ გაზიარებული არ არის. დასახელებულია ასევე XII-XIII საუკუნეები. ამიტომ, ვინაიდან ხსენებული ხელნაწერის ზუსტი დათარიღება შეუძლებელია, უფრო მართებულად მივიჩნიეთ კვიპროს-საქართველოს ეკლესიური ურთიერთობების ამსახველ წყაროთა შორის უადრესად მიგვეჩნია იოანე და ექვთიმე ათონელების

ადრინდელი მასალები ჩვენი ქვეყნების ისტორიული ბედუკუდმართობის გამო „მიეცა სიღრმესა და ვიწყებისასა“.

ჩვენამდე მოღწეული უადრესი ცნობა კვიპროსისა და საქართველოს ეკლესიური ურთიერთობების შესახებ დაცულია წმიდა გიორგი ათონელის ცნობილ აგიოგრაფიულ თხზულებაში. ღირსი მამა გვაუწყებს, რომ როდესაც კვიპროსის საარქიეპისკოპოსო კათედრა დაქვრივდა, ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ (963-1025 წწ.) ათონის მთაზე მოღვაწე წმიდა ექვთიმე ქართველს შესთავაზა გამხდარიყო კვიპროსის სამოციქულო ეკლესიის მწყემსმთავარი. აი რას გვაუწყებს „ცხოვრებად იოვანესი და ეფთვმესი“:

„საყდართა შორის საკათალიკოზოთა საჩინო არს და წარჩინებულ საყდარი წმიდისა ეპიფანე კვპრელისაჲ. და ჟამთა ბასილი მეფისათა ოდესმე აღესრულა მთავარეპისკოპოსი, რომელი იყო მუნ: და ფრიად აიძულა მეფემან ნეტარსა ეფთვმეს, რადთა მიითუალოს განგებად მისი. ხოლო მან ყოლადვე არა თავს-იდვა, რამეთუ ყოვლითა მოსწრაფებითა ევლტოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეიტკობდა“⁹.

ამგვარად, ბასილი II-ს წინადადების ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ იმ დროს ქართველი და კვიპროსელი საეკლესიო მოღვაწეები ერთმანეთთან იმდენად იყვნენ შეთვისებულნი, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარზე სავსებით შესაძლებლად მიიჩნიეს, ქართველი მამა გამხდარიყო კვიპროსის ეკლესიის მეთაური. წინააღმდეგ შემთხვევაში ღირს ექვთიმეს უბრალოდ ძალიან გაუჭირებოდა სათავეში ჩასდგომოდა ეკლესიას, სადაც სხვა არავინ იქნებოდა მისი

ცხოვრება, რომელიც 1042-1044 წლებშია დაწერილი. იხ. ვახტანგ ჯობაძე, შენიშვნები კვიპროსის ქართული მონასტრის ჟალიას (ღალიას) შესახებ, მაცნე, ენის... სერია, 1987 წ., გვ. #4, გვ. 167.

⁹. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967 წ., გვ. 69.

თვისტომი. იქაური მოსახლეობაც ხომ უცხოობის გამო ძნელად შეიგუებდა ასეთ მწყემსმთავარს. ამგვარ ურთიერთდაახლოვებასა და შეთვისებას, ცხადია, სათანადოდ რო სჭირდებოდა. ასე რომ, კვიპროს-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ცნობა უკვე გვამღევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ეკლესიური ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის მანამდეც უდავოდ არსებობდა.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით შედარებით გვიანდელია ცნობა, რომელსაც გვაწვდის „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“. ქართველი მეისტორიე, რომლის ვინაობაც ბურუსით არის მოცული, გვაუწყებს, რომ კეთილმსახურმა მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) არა მხოლოდ თავისი სამეფოს სავანეები აღაშენა და შეამკო, არამედ, ქართველ გვირგვინოსანთა ჩვეულებისამებრ, სხვა ქვეყნების „ღავრანი და საკრებულონი და მონასტერნი... აღავსნა კეთილითა“ და „თითო-ფერთა შესაწირავითა განამდიდრა“, რომელთა შორის კვიპროსიც იყო¹⁰.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული სხვა, შედარებით გვიანდელი თხზულებებიც გვაწვდიან ცნობებს კვიპროს-საქართველოს ეკლესიური ურთიერთობების შესახებ. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც გვაუწყებს, რომ კვიპროსზე არსებულ ქართველთა სავანეს ერქვა ღალია; რომ იგი თამარ მეფემ (1184-1213 წწ.) აღაშენა, შეამკო და ასევე ააგო მისი მეტოქი. მოცემულ თხზულებაში ვკითხულობთ, რომ წმიდა კეთილმსახურმა მეფე თამარმა უცხოეთის სავანეები „უხუად წყალობა-მიფენილ ყვნა“; მან „კუალად კვპრეს ღალია შეამკო

¹⁰ . ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბ., 1955 წ., გვ. 352-353; ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942 წ., გვ. 226-227.

და უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა. და კუალად კოსტანტინეპოლის აღაშენა მეტოქი მათი¹¹.

კვიპროსთან არსებული ურთიერთობების შესახებ გვაუწყებს ასევე თამარის მეორე ისტორიკოსი, რომელიც ბასილი ზარზმელის სახელით არის ცნობილი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ძალზედ საინტერესო ცნობას გვაწვდის იმის თაობაზე, მომლოცველთა როგორ მიმოსვლას ჰქონდა ადგილი კვიპროსსა და საქართველოს შორის. აი კერძოდ რას ვკითხულობთ ხსენებულ ძეგლში: „მოიწინეს ოდესმე ჩუეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამისთა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კჳპრის ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარნა თამარ ჩვეულებისაებრ ვითარცა ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა დიად, და აღავსნა ყოვლითა საჭმარითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად“. შემდეგ, როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი III ანგელოსმა (1195-1203 წწ.) ბერ-მონაზვნებს ეს შეწირულობანი ჩამოართვა, ხოლო „სცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვნა ეშმაკი“¹².

× × ×

კვიპროსის ქართული სავანეების შესახებ მართალია ძალზედ ცოტაა ცნობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემორჩენილი უაღრესად მწირი ცნობები მაინც გვქმნიან ისეთ

¹¹ . ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, თბ., 1959 წ., გვ. 91.

¹² . ქართლის ცხოვრება, II, გვ. 142.

შთაბეჭდილებას, რომ ღალიას (იგივე ჟალიას) სავანე მწიგნობრული მოღვაწეობის კერას წარმოადგენდა.

ოდესღაც უმდიდრესი კვიპროსის ქართული სამონასტრო ცენტრის წიგნთსაცავიდან, ჟამთა სიავის გამო, სულ რაღაც ორიოდ ქართულმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. ორივე მათგანი საქართველოს ოქროს ხანას მიეკუთვნება¹³.

ერთია „ფსალმუნთა თარგმანება“. მისი გადამწერია ჟალიასთან მოღვაწე მოხუცებული ქართველი ბერი, რომლის სახელი ისტორიას ჩვენთვის არ შემოუნახავს¹⁴; ხოლო მეორე - „მარხვანი“, რომელიც გარეჯის უდაბნოდან კუნძულ კვიპროსზე სამოღვაწეოდ ჩასულ ღირს მამა რომანოზ დოდორქელს შეუწირავს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის კვიპროსის ქართველთა სავანისთვის:

„მე ბერმან მწირმან რომანოს გარეშჯელმან დოდორქელმან მოვიგე ესე წიგნი [მარხ]ვათა საგალობელი და... შევსწირე თვთ წმიდასა ღმრთისმშობელისავე საყოფელსა, ჟალიას ქართველთა მონასტერსა, მამობასა ი~ე მწიგნობრისასა, და მისითა და სხუათა ყოველთა ძმათა ბრძანებითა“¹⁵.

ამგვარად, როგორც ამას მამა რომანოზის ანდერძი დაქარაგმებული სახით გვაუწყებს, იმ დროს ჟალიას ქართველთა მონასტრის წინამძღვარს, როგორც ჩანს, ერქვა იოვანე. და იგი იყო კაცი მწიგნობარი.

¹³ . თინა ცერაძე, ერთი ფაქტი ქართულ სამწიგნობრო კერათა ურთიერთობის ისტორიიდან, კრ. ანამკვი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002 წ., გვ. 251-253. ამ ხელნაწერებში ქართლის ცხოვრებისგან ოდნავ განსხვავებული ფორმით არის მოხსენიებული კვიპროსის ქართული სამონასტრო ცენტრის სახელი - ღალიას ნაცვლად მას ჟალია ეწოდება.

¹⁴ . თ. ცერაძე, ხს. შრომა, გვ. 251-252; თედო ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892 წ., გვ. 128.

¹⁵ . თ. ცერაძე, ხს. შრომა, გვ. 252-254.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“ - ოქროს ხანის საქართველოს მზეს ჯერ მონღოლთა ურდოები დააბნელებენ, შემდეგ თემურ-ლენგი და სხვანი და სხვანი და სხვანი.

ასე რომ, დამცრობილი და ერთობადარღვეული საქართველოდან თავისთავად შემოაკლდათ შემწეობა უცხოეთის ქართულ სავანეებს. ასეთ ვითარებაში თითქოს მართლაც ღმრთისანაბარა დარჩა წმიდა ადგილებში არსებული ქართული სამონასტრო ცენტრები. მათგან ყველაზე გამორჩეული ხვედრი სწორედ კვიპროსის ქართულ მონასტრებს ერგო. თუ პალესტინა და ანტიოქია ჯვაროსნების წასვლის შემდეგ მალევე ისევ აღმოჩნდა მუსლიმთა ხელში, კვიპროსის თავგადასავალი განსხვავებული იყო - კუნძულზე ჯვაროსნებმა მოაწყვეს დასავლური ტიპის ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც დიდხანს იარსება და რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უკიდურესად შეუწყნარებელი სარწმუნოებრივი პოლიტიკა მართლმადიდებელი ქრისტიანების მიმართ.

ცნობილია, მაგალითად, რომ კუნძულზე ჯვაროსნების დამკვიდრების პირველ ხანებში, კერძოდ 1192 წელს, ერეტიკული განცოფებით შეპყრობილმა ტამპლიერებმა ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე იმისთანა სასაკლავო გამართეს კვიპროსის დედაქალაქის ქუჩებში, რომ ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობის სისხლი მდინარესავით მოედინებოდა ქუჩებში¹⁶. ასეთ დროს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ვითარებაში აღმოჩნდნენ იქ მოღვაწე ქართველები.

¹⁶ . Галина Росси, Последний кароль Иерусалима. ელ. ვერსია: <http://www.globalfolio.net/monsalvat/frsdominus/statiibook/guyusignan/lus11.htm>

მართლმადიდებელთა დევნა კვიპროსიდან ტამპლიერების წასვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა. კუნძულის ლათინმა ბატონ-პატრონებმა ამგვარი მოთხოვნა წაუყენეს მართლმადიდებლებს - დაუყოვნებლივ, ისე რომ არ დალოდებოდნენ უნიის გაფორმებას, დაქვემდებარებოდნენ რომის პაპს¹⁷.

შექმნილი ვითარების გამო არაერთი კვიპროსელი საეკლესიო მოღვაწე დასაჯეს სიკვდილით დასავლელმა ინკვიზიტორებმა. მაგალითად 1231 წელს პაპიზმის გაბედული მხილებისთვის მათ კოცონზე დაწვეს ცამეტი კვიპროსელი მართლმადიდებელი ბერი, რომლებიც კანთარის მონასტერში მოღვაწეობდნენ¹⁸. არსებული ვითარების გამო კვიპროსის მართლმადიდებელი ეპისკოპოსები იძულებული იყვნენ ფარულად შეკრებილიყვნენ ხოლმე ამსოფლისაგან განკრძალულად მდებარე სტავროვუნის მონასტერში¹⁹; ხოლო კატაკომბებში შეხიზნული კვიპროსელი საერონი კათოლიკებისგან უჩუმად გადასცემდნენ თავის პატარებს მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას²⁰.

ასეთ გაუსაძლის ვითარებაში, რომელმაც რამოდენიმე ასწლეულს გასტანა²¹, კვიპროსზე მოღვაწე ქართველების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მხარში ედგნენ

¹⁷ . Шабатин И., Кипрская Православная Церковь, краткие исторические заметки, Журнал Московской Патриархии, 1955, I, стр. 65.

¹⁸ . Иеромонах Даниил, ხს. პუბლიკაცია; Скупат К.Е., ხს. წიგნი; History of Cyprus, The Frankish period. ელ. ვერსია: <http://www.cosmosnet.net/cyprus/history/hist11.htm>

¹⁹ . Иеромонах Даниил, ხს. პუბლიკაცია.

²⁰ . იქვე.

²¹ . მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა 1489 წლიდან, როცა კუნძულს ვენეციელები დაეპატრონნენ (Рональд Робертсон, Восточные Христианские Церкви, Церковно-Исторический Справочник, აქ III თავის X პარაგრაფი - Кипрская Православная Церковь. ელ. ვერსია: <http://www.logos.cy.net/cyprus/chmain.html>).

კუნძულის მკვიდრ მართლმადიდებელ მოსახლეობას და მათთან ერთად ინაწილებდნენ განსაცდელს. ბერძნებთან ერთმორწმუნეობის გამო კათოლიკეები ქართველებსაც არ აკლებდნენ დევნა-შევიწროვებას. მაგალითად, ცნობილია 1306 წელს პაპ კლიმენტი V-ს (1305-1314 წწ.) დროს შედგენილი საბუთი, რომელიც მოწმობს, რომ კათოლიკეები ცდილობდნენ წაერთმიათ ქართველებისთვის კვიპროსის სამხრეთ ნაწილში არსებული მონასტერი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი სიმდიდრით²².

ასეთ ვითარებაში ორ ცეცხლს შუა მოქცეულებივით იყვნენ უცხოეთში მოღვაწე ქართველი სასულიერონი - თუ ერთი მხრივ პალესტინისა და ანტიოქიის სავანეებს ისლამური აღესილი ნახევარმთვარის სიბასრე მუსრავდა, მეორე მხრიდან მაცხოვარს განშორებული დასავლეთის მკსინვარე უღმერთობა ავლებდა მუსრს კვიპროსის ქართველთა სავანეებს. ამიტომ იყო, რომ, როცა სხვა გზა აღარ ჰქონდათ, წმიდა მიწიდან მუსლიმთა გულისწყორმას გამორიდებუღი ქართველები ლათინთა ხელში მოქცეუღი კვიპროსის ქართულ სავანეებს აფარებდნენ ხოღმე თავს. ასე მომხდარა, მაგალითად, 1291 წელს, როცა პალესტინიდან კვიპროსზე გადასულა სამოღვაწეოდ ქართველთა ნაწიღი²³.

ცნობიღია ასევე 1314 წელს მუსლიმთაგან წამებუღი ქართვეღი ღირსი მამის ნიკოლოზ დვალის მაგალითი, რომელიც გარკვეუღი დროის მანძიღზე კვიპროსს აფარებდა თავს. წმიდა ნიკოლოზ დვალი, როგორც ამას მის სვინაქსარულ ცხოვრებაში კვითხუღობთ, კუნძულზე „იყოფებოდა დიდითა მოღუაწებითა. და ხატი დაახატვინა წმიდისა ნათღის-მცემღისაღ და მის წინაშე შესწირვიდა ღმრთისა ლოცვათა

²² . ოთარ გიგინეიშვიღი, „კვალი კვიპროსისაკენ მიდის“, გაზ. „კომუნისტი“, 6 იანვარი 1963 წ., #5(12517), გვ. 4.

²³ . ივ. ჯავახიშვიღი, „კვიპროსში, თვისტომთა ნაკვალევზე“, გაზ. „წიგნის სამრარო“, 14 თებერვაღი 1973 წ., #3(111), გვ. 4.

თვსთა“. სწორედ კვიპროსზე მოღვაწეობის დროს წმიდა ნიკოლოზ დვალი გახდა ღირსი იოანე ნათლისმცემლის გამოცხადებისა²⁴.

როგორც ჩანს, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა პირიქით, ქართველები იძულებული ხდებოდნენ კვიპროსიდანაც წასულიყვნენ და კათოლიკებს გაქცეულები ისევ მუსლიმთა ხელში მყოფ იერუსალიმს მიაშურებდნენ ხოლმე. ასეთ დროს მათ თან მიჰქონდათ დიდი რუდუნებით გადაწერილი ქართული ხელნაწერი წიგნები. შესაძლოა, სწორედ ამგვარი გზით მოხვდა იერუსალიმში კვიპროსის ქალიადან წაღებული ქართული ხელნაწერები, რომელთაგან ორიოდელა შემოგვინახა ჟამთა სიავემ.

XIV საუკუნეში კვიპროსის ქართული სავანეების ვითარებას მოკლედ გვაუწყებს დასავლელი პილიგრიმი იაკობ ფონ ბერნი, რომელიც 1346 წელს ეწვია კუნძულს. მისი მოწმობის მიხედვით, ქართველების სავანე მდებარეობდა ფამაგუსტაში და ქართველები ბერძნული წესების მიხედვით ატარებდნენ ღმრთისმსახურებას²⁵. კვიპროსზე მოღვაწე ქართველების შესახებ სხვა დასავლელი მომლოცველები და მოგზაურებიც გვაწვდიან მწირ ცნობებს²⁶.

XV საუკუნის მოვლენებიდან კი ცნობილია ის, რომ 1461 წელს ქალიას ქართველთა მონასტერი ჯვაროსნების მიერ განადგურებულა²⁷.

უფრო გვიანდელია კვიპროსის მმართველი დინასტიის წარმომადგენლის ეტიენ ლუზინიანის ცნობა კვიპროსის

²⁴ . ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, ი. აბულაძისა და ე. გაბიძაშვილის გამოცემა, თბ, 1968 წ., გვ. 349; თვენი, ქართველ წმიდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997 წ., გვ. 168.

²⁵ . ვ. ჯობაძე, ხს. წერილი, გვ. 168.

²⁶ . იქვე.

²⁷ . სოსო ცისკარიშვილი, „თქვენ ხომ გცალიათ, ბატონო ათინოდოროს?!“, გაზ, „ლიტერატურული საქართველო“, 20 მარტი 1987 წ., #12(2584), გვ. 9.

ქართული თემობის შესახებ. ეტიენი მის მიერ დაწერისლ კვიპროსის აღწერაში საუბრობს კუნძულზე XVI საუკუნის I ნახევარში არსებული ვითარების შესახებ (ანუ მისი თხზულება შეეხება კვიპროსის ისტორიის ლათინური პერიოდის მიწურულს). ეტიენ ლუზინიანი კვიპროსზე მოღვაწე ქართველებსაც იხსენიებს. იგი აღნიშნავს, რომ ქართველებს „რამდენიმე მონასტერი ჰქონიათ, უმთავრესად ალამინოსის რაიონში“²⁸.

ასეთი მწირია ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ცნობა, რომელიც კვიპროსის ისტორიის ლათინურ პერიოდს მიეკუთვნება. ქრონოლოგიური თვალსაზრისით მომდევნო წყარო კი უკვე ოსმალურ პერიოდში არსებულ მდგომარეობას გვაუწყებს.

როგორც ცნობილია, კუნძულზე დასავლელთა მრავალწლიანი ბატონობა 1570 წელს ჩაანაცვლა ოსმალურმა უღელმა. კვიპროსი სულთნის ხელში აღმოჩნდა ქართველთათვის კარგად ცნობილი მუსტაფა ლალა ფაშას სამხედრო ექსპედიციის შედეგად²⁹. მართალია ამის შემდეგ ოსმალებმა კვიპროსიდან განდევნეს კათოლიკური იერარქია და ნაწილობრივ მაინც დაუბრუნეს მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს ჯვაროსნების მიერ წართმეული უფლებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოსმალთა ბატონობა მაინც განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა კვიპროსელებისთვის.

უკანასკნელი ცნობა კვიპროსზე ქართული სავანეების არსებობის შესახებ სწორედ ოსმალურ პერიოდს მიეკუთვნება. „ქართველი მღვდლები რამდენიმე ეკლესიას ემსახურებიან, - გვაუწყებს იტალიელი მეცნიერის მიერ გამოქვეყნებული ერთ-

²⁸ . ო. გიგინეიშვილი, ხს. წერილი, გვ. 4.

²⁹ . History of Cyprus, The Frankish Period (1191-1571), ელ. ვერსია: <http://www.cosmosnet.net/syprus/history/hist11.htm>; P. Робертсон, ხს. შრომა; Скупат, ხს. წიგნი; Иеромонах Даниил (Сычев), Черный Крест Православного Кипра, ელ. ვერსია: <http://www.st-tatiana.ru/index.html?did=1549>

ერთი ბერძნულენოვანი წყარო³⁰, - ვინაიდან ისინი ცოტანი არიან, მონასტრებიც ბევრი არა აქვთ და ეპისკოპოსი არა ჰყავთ, ემორჩილებიან ბერძენ ეპისკოპოსს. (მათი - გ.მ.) ერთი ეპარქია ლარნაკასთან სოფელ ალამინოსშია, მეორე - კუნძულის დასავლეთ ნაწილში - პოლისიხრიზოხუში“³¹.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის უკანასკნელი ცნობა, რომელიც მოწმობს კვიპროსზე ქართული სავანეების არსებობის შესახებ. სამწუხაროდ იგი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი ქართველ მეცნიერთა მიერ. ჩვენთვის უცნობია ზემოხსენებული წყაროს წარმომავლობა, მისი კონკრეტული თარიღი. ვიცით მხოლოდ, რომ იგი 1571 წელზე ადრეული არ უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ, როგორც დიდი ილია იტყოდა, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ - კვიპროსის ქართულ სავანეთა შესახებ არანაირ ცნობებზე აღარ მიგვიწვდება ხელი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოსმალურ პერიოდში საერთოდ შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიებს შორის.

1758 წელს კუნძულს ეწვია იერუსალიმიდან საქართველოში მომავალი მეუფე ტიმოთე (გაბაშვილი)³². როგორც ცნობილია, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ტიმოთე სხვადასხვა დროს იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი და ქუთაისის მიტროპოლიტი³³. ასეთი მაღალი ქართველი იერარქის მიერ კუნძულის მონახულება, რა თქმა უნდა, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

³⁰ . იხ. კ. პერესტიანი, ბერძნულ ხელნაწერთა ისტორია, ნიქოზია, 1930 წ., გვ. 448. ხს. წიგნი მოიცავს კვიპროსის ისტორიის 1571-1878 წლების მონაკვეთს.

³¹ . ივ. ჯავახიშვილი, ხს. წერილი, გვ. 6.

³² . თ. ცერაძე, ხს. შრომა, გვ. 248; ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, 2, თბ., 1980 წ, გვ. 252-253.

³³ . ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, თბ., 1984 წ., გვ. 56.

მეუფე ტიმოთე თავის „მიმოსვლაში“ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კვიპროსის ეკლესიის შესახებ. იგი საუბრობს მისი ურთიერთობების შესახებ კვიპროსის ეკლესიის მეთაურთან, უნეტარეს ფილოთეოსთან.

მთავარეპისკოპოსი ფილოთეოსი (1732-1759 წწ.) კვიპროსის ისტორიიდან ცნობილია თავისი სიქველითა და აღმშენებლობითი მოღვაწეობით. მან დააარსა ნიქოზიის ბერძნული სკოლა, აკურთხა წმიდა ბარნაბა მოციქულის სახელობის ტაძარი და, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, არქიეპისკოპოსი ფილოთეოსი, როგორც მზრუნველი მამა, ცდას არ აკლებდა, შეემსუბუქებინა უმძიმესი ოსმალური გადასახადებით წელში გაწყვეტილი თავისი სამწყსოს მდგომარეობა. ამ მიზნით იგი პირადად ჩაბრძანდა სტამბულში და სულთნის კარზე შუამდგომლობდა უსამართლოდ დაჩაგრულ კვიპროსელებს³⁴.

აი ასეთ დიდებულ პიროვნებას დაუახლოვდა მეუფე ტიმოთე კუნძულზე ყოფნისას. ამის შესახებ იგი წერს: „არქიეპისკოპოზი კვიპრიისა, უფალი ფილოთეოს, კაცი დიდად პატიოსანი და სახელგანთქმული თითოსახითა სიკეთითა. და განგვისვენა და უცხოთ-მოყვარებისა სალბუნი გვაგემა“³⁵.

მეუფე ტიმოთე თავის „მიმოსვლაში“ ასევე გვაცნობს კუნძულზე არსებულ სიწმიდეებს³⁶, მოგვითხრობს კვიპროსის ეკლესიის ისტორიის ცალკეულ მნიშვნელოვან მოვლენებზე. კერძოდ, გვაუწყებს საეკლესიო გარდამოცემას კუნძულზე მართალი ლაზარეს მოღვაწეობის შესახებ³⁷. ასევე გვიამბობს

³⁴ . Скупат бл. წიგნი, ელ. ვერსია: <http://www.sedmitza.ru/index.html?did=4814>

³⁵ . ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956 წ., გვ. 94.

³⁶ . იქვე, გვ. 94-95.

³⁷ . იქვე, გვ. 94.

კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ³⁸. იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა კვიპროსელ მოღვაწეთა მიერ ბარნაბა მოციქულის წმიდა ნაწილთა აღმოყვანება³⁹ და რის გამო მიიღო კვიპროსის ეკლესიის მეთაურმა პატივი წითელი მანტიის ტარებისა, სამღვდელმთავრო კვერთხის წილ სამეფო სკიპტრის პყრობისა და წითელი მელნით ხელრთვისა⁴⁰; იგი ასევე წერს კვიპროსის ეკლესიის დიდი მნათობის სპირიდონ ტრიმიფუნტელის მიცვალების შემდგომი სასწაულების შესახებ⁴¹.

მეუფე ტიმოთე, მისი მიმოსვლის დროს, შემსწრე გამხდარა ბერძენ იერარქთა შორის იმხანად არსებული უთანხმოებისა, როს გამოც კონსტანტინეპოლის პატრიარქ კირილეს ექსორიობა მოუწია კუნძულ კვიპროსზე. იგი ასევე დაესწრო კონსტანტინეპოლის ახალი პატრიარქის, ყოვლადწმიდესი კალინიკეს აღსაყდრებისთვის გამართულ ცერემონიას⁴².

XVIII საუკუნის 80-იან წლებში, კერძოდ 1784 წელს, კვიპროსს ეწვია სხვა ქართველი იერარქი - მროველი მიტროპოლიტი იონა (გედევანიშვილი)⁴³. სანამ კუნძულზე ჩავიდოდა, იგი გზად შეხვდა კვიპროსის უდიდესი სავანის, კიკოს მონასტრის, პროტოიდუმენს⁴⁴. კუნძულზე ჩასული ქართველი მიტროპოლიტი ეწვია პამფილიის ეპარქიას⁴⁵,

³⁸ . იქვე.

³⁹ . იქვე.

⁴⁰ . იქვე.

⁴¹ . იქვე, გვ. 15.

⁴² . იქვე, გვ. 58, 119.

⁴³ . თ. ცერაძე, ხს. შრომა, 248; ლ. მენაბდე, ხს. წიგნი, გვ. 252-253.

⁴⁴ . მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, პლატონ იოსელიანის გამოცემა, თფილისი, 1852 წ., გვ. 42-43.

⁴⁵ . იქვე, გვ. 44.

მოილოცა კიკოს ლავრა და აღწერა იმხანად იქ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები.

„და მივედით მთასა კიკო მნასტრისასა... და მივედით მონასტერსა მას. მემთხვევნენ ეპიტროპოსნი მონასტრისანი, და შევედით ეკკლესიასა შინდა და ვიხილეთ ხატი მაცხოვრისა (შეცდომაა, უნდა ეწეროს ხატი ღმრთისმშობლისა - გ.მ.), ლუკა მახარებლისგან დახატული და ეკკლესია მშუჭნიერი და მდიდარი და ახალშენი. ხოლო მუშაკნი მუშაობდნენ ზღუდესა მონასტრისასა, და სახლებ პალატსა კელიათურთ... და მონასტერი ესე ლავრა დიდი და თაყუანისსა[მ]ცემელი ქრისტიანენი, ანატოლიით, და ზღუასა შინა ჭალაკთაგან, რომელ-არს არხიპელაგო. და თვთ კიპრო ჭალაკისა დიდათ თაყუანის-მცემელნი, და შემოსავალი მრავალი, და მონასტერსა შინა აღირაცხება მონაზონი, ექუსასი და უფრო მეტი“⁴⁶.

შემდეგ მეუფე იონამ ინახულა კუნძულის დედაქალაქი ლევკოსია, სადაც შეხვდა კვიპროსის არქიეპისკოპს ხრისანთეს (1767-1810 წწ.). კუნძულზე ოსმალების ხანგრძლივი ბატონობის მთელ პერიოდში უნეტარესი ხრისანთეს მწყემსმთავრობა ოქროს ხანას წარმოადგენს კვიპროსის ეკლესიისთვის. მან ააგო და განაახლა მრავალი ეკლესია-მონასტერი, გაამშვენა ისინი ხატებითა და სხვადასხვა სახის სამკაულით⁴⁷. კუნძულზე ყოფნისას მეუფე იონა და უნეტარესი ხრისანთე დაახლოვებულან:

„შემდგომად ამისა წამოველ, დედა ქალაქსა კიპრიისასა, - წერს მეუფე იონა, - რომელ-არს ლევკოსია, სადაცა ცხოვრებს არხიეპისკოპოსი მაკარიოტატოს, რომელ-არს უნეტარესი ხურისანთოს, კაცი გონიერი, მდიდართა ვაჭართა ჩამომავლობისა, კაცი სახიერი, და უცხოთა კაცთ-მოყუარე... არ გამიშუა იერუსალიმს, სნეულების-გამო თავისთან დამაყენა.

⁴⁶ . იქვე, გვ. 44-45.

⁴⁷ . Скрыпат, бс. წიგნი, ელ. ვერსია: <http://www.sedmitza.ru/index.html?did=4824>

საუკუნო იყოს სახსენებელი მისი. და ოთხი თთულ მასთან დამაყენა...“; „შემდგომად ამისა თთულსა აგუსტოსასა გამოვეთხოვე უნეტარესსა და ჩამოვედი ტუზლას ქალაქსა, ნავთ-საყუდელსა გემთასა, და დავდეგ მონასტერსა წმიდისა ლაზარესსა, სადა არს გუამი წმინდისა და საფლავი, როდესაც იქმნა ეპისკოპოსი კიპრიზისა და თაყუანის-ვც საფლავსა მისსა“⁴⁸.

მეუფე იონა ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის კვიპროსის ეკლესიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ⁴⁹; ადგილობრივი მოსახლეობის სარწმუნოებრივი და ეთნიკური შემადგენლობის შესახებ⁵⁰; მათი ყოფისა და მეურნეობის შესახებ⁵¹. იგი ასევე აღნიშნავს კვიპროსული ძვირფასი ღვინის შესახებ, რომელიც არაერთ მართლადიდებულ ქვეყანაში საგანგებოდ გამოიყენება ევქარისტისთვის⁵². „ღვწო ამისი უკეთესობს და ქებულ-არს სხუათა ადგილებთაგან, და უფრორე ყუმანდრია და იტყვან, შემდგომად ორმეოცისა წლისა ღვწო ესე ყუმანდრია დანითა საჭრელი არისო“⁵³.

× × ×

მოცემულ ეპოქაში ჩვენი ეკლესიების ურთიერთობები მარტო იმით არ შემოიფარგლებოდა, რომ ქართველი მომლოცველები და მოგზაურები ჩადიოდნენ კუნძულ კვიპროსზე. ამავე დროს ცნობილია ქართლ-კახეთისა და

⁴⁸ . იონა გედევანიშვილი, ხს. წიგნი, გვ. 45-46, 49.

⁴⁹ . იქვე, გვ. 47.

⁵⁰ . იქვე.

⁵¹ . იქვე.

⁵² . Поместные Православные Церкви, Сборник, Изд. Сретенского Монастыря, М., 2004 г., стр. 415.

⁵³ . იონა გედევანიშვილი, ხს წიგნი, გვ. 46-47.

იმერეთის მეფეთა შეწირულობები კვიპროსის უსაჩინოესი სავანის - კიკოს მონასტრისადმი⁵⁴.

„...ღმერთო, ქრისტიანობის იმედო, იცოდე და გახსოვდეს, რომ შენზე ვამყარებთ ჩვენ იმედს შენი მონა ერეკლე მეორე მეფე ზემო ივერიისა დარიათი (იგულისხმება დარეჯან დედოფალი - გ.მ.) და ასული ტატიანათი. ვინებენ შემოგწირო საჩუქარი ზეციურ ხვთისმშობელს ჩვენი სახელმწიფოს შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის“. ეს წარწერა, რომელიც 1760 წლით არის დათარიღებული, ამშვენებს კიკოს მონასტერში დავანებული ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისთვის ერეკლე მეფის, დარეჯან დედოფლისა და ბატონიშვილ ტატიანას მიერ შეწირულ რიდეს.

სწორედ ამ პერიოდში კვიპროსიდან საქართველოში ჩამობრძანდა და იმერეთის ვარძიის მონასტერში დამკვიდრდა სამოღვაწეოდ ბერძენი პროტოსინგელოზი იოაკიმე⁵⁵. ჩვენამდე მოღწეულია მამა იოაკიმეს წერილი იმერეთის მეფე დავით მეორისადმი:

„თქუჲნ ყოვლად უმაღლესსა და უდიდებულესსა მეფესა ღუთის მოყუარესა დავითს და ყოველთა მემკვიდრეთა საიმერეთოსათა... თქუჲნისა მოწყალებისა ძლით თქუჲნს დიდებულს მეფობაში დაგვადგინეთ და მრავლითა პატივითა შე[გ]ვიწყნარეთ და ვედრებისა ჩუჲნისაებრ საწადელი ჩუჲნი აღგვისრულეთ და გვიწყალობეთ საუკუნოდ ჩუჲნის წმიდის გიკქოს მონასტრის⁵⁶ სადიდებელად და სულთა და ხორცთა თქუჲნთა საწირავ-სალოცველად წმიდის ვარძიის

⁵⁴ . ლ. მენაბდე, ხს. წიგნი, გვ. 252-253. იმერეთის სამეფო კარის გადაწყვეტილებით, XVIII საუკუნის 80-იან წლებში იმერეთის ვარძიის მონასტერი გადაეცა კვიპროსის კიკოს მონასტერს (იქვე, გვ. 408); ო. გიგინეიშვილი, ხს. წერილი, გვ. 4.

⁵⁵ . იქვე.

⁵⁶ . წერილში კიკოს მონასტერი ყველგან ამგვარი ფორმით მოიხსენიება.

ლუთისმშობლის ეკლესია... რომლისა წყალობისათვის იყავნ სახელი შენი, მეფეო დავით, კურთხეულ სამებისა ერთარსისა ღუთისა მიერ და შენდა დამცველად იყავნ მრჩობლადვე ცხოვრებასა შინა დედაჲ ღუთისა მარიამ მარადის-ქალწული. აღიწერა თვესა სეკდენბერსა ი (10), ქრისტეს აქათ ჩღჳდ (1784)⁵⁷.

მაგრამ, სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ეს დიდებული სულიერი ურთიერთობები, რომლებიც დამყარებული იყო საქართველოსა და კვიპროსს შორის, დიდხანს ვეღარ გაგრძელდა. როგორც ცნობილია, კავკასიაში რუსთა იმპერიის დამკვიდრებამ შედეგად მოიტანა ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფა.

სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 1820 წელს, კვიპროსი მონიახულა ცნობილმა ქართველმა დიპლომატმა გიორგი ავალიშვილმა⁵⁸. იმ გიორგი ავალიშვილმა, რომელსაც რუსთა იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის ხელყოფის ავადსახსენებელ წლებში, რუსეთში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად ყოფნა მიუსაჯა განგებამ.

მოგზაურობის დროს გიორგი ავალიშვილი შეხვდა სამშობლოდან გადახვეწილ გიორგი აბაშიძეს, რომელიც უწინ მეფე სოლომონ მეორეს ხლებია ტრაპიზონში. ხოლო ნეტარხსენებული მეფის გარდაცვალების შემდეგ, რუსთა შიშით, ვეღარ დაბრუნებულა სამშობლოში⁵⁹. გიორგი აბაშიძემ უამბო გიორგი ავალიშვილს მისი თავგადასავალი, თუ როგორ მოილოცა მან წმიდა ადგილები, როგორ ეწვია იერუსალიმსა და კვიპროსს და როგორ მიიღო კვიპროსის არქიეპისკოპოსისგან

⁵⁷ . Акты Собранные Кавказскою Археографическую Коммиссиею, т. 1, Тифлиси, 1866 г., стр. 59-60.

⁵⁸ . თ. ცერაძე, ხს. შრომა, გვ. 248; ლ. მენაბდე, ხს. წიგნი, გვ. 252-253.

⁵⁹ . გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ე. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1967 წ., გვ. 95.

წითელი მელნით ხელმოწერილი ცოდვათა შენდობის წერილი⁶⁰.

ჩვენ განსაკუთრებით ფასეულად მიგვაჩნია გიორგი ავალიშვილის სადღიურო ჩანაწერებში არსებული ცნობები მისი შეხვედრების შესახებ კვიპროსის არქიეპისკოპოს კვიპრიანესთან (1810-1821 წწ.) და სხვა საეკლესიო მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, კიტის მიტროპოლიტი მელეტიოსი⁶¹, კიკოს მონასტრის მთავარი ილუმენი იოსები⁶², ტრიმიფუნტიის წმიდა სპირიდონის ეკლესიის მოძღვარი მამა პართენიოსი⁶³, კირინიაში მოღვაწე განდევნილი ბერი გერასიმე⁶⁴ და სხვანი.

ამ დიდებულ ადამიანებს, სულ რაღაც ერთ წელიწადში მას შემდეგ, რაც მათთან სტუმრად იმყოფებოდა გიორგი ავალიშვილი, უდიდესი განსაცდელების გადატანა მოუხდათ. ბევრმა მათგანმა მოწამეობრივად დაასრულა ამქვეყნიური სიცოცხლე. მაგალითად, ზემოხსენებული უნეტარესი არქიეპისკოპოსი კვიპრიანე ოსმალებმა კუნძულის დედაქალაქის მთავარ მოედანზე ჩამოახრჩვეს და მასთან ერთად თავები მოჰკვეთეს კვიპროსის ეკლესიის მიტროპოლიტებს. მწყემსმთავრებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს მათი სულიერი შვილებიც - ასობით კვიპროსელი საეკლესიო მოღვაწე, როგორც სასულიერო დასის წარმომადგენლები, ისე - საერონი⁶⁵.

⁶⁰ . იქვე, გვ. 96.

⁶¹ . იქვე, გვ. 263.

⁶² . იქვე, გვ. 265.

⁶³ . იქვე, გვ. 269.

⁶⁴ . იქვე, გვ. 279.

⁶⁵ . Скупат, ხს. წიგნი, ელ. ვერსია: <http://www.sedmitza.ru/index.html?did=4814>; Р. Робертсон, ხს. წიგნის III თავის X პარაგრაფი: Кипрская Православная Церковь, ელ. ვერსია: <http://www.logos.cy.net/cyprus/chmain.html>; History of Cyprus, Turkish Period (1571-1878), ელ. ვერსია: <http://www.yourcyprus.com/history/hist12.htm>

აი ასეთ დიდებულ ადამიანებთან ჰქონდა შეხვედრები გიორგი ავალიშვილს კუნძულ კვიპროსზე ყოფნისას. მის თხოვლებში ჩანს კიდევ კვიპროსელთა განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ქართველი სტუმრისადმი:

„მოვიდნენ ჩემდა სამღუდელონი წმიდისა ლაზარეს ეკკლესიისანი მოლოცვად ჩემდა მშვედობით მოსლვისათჳს ჩემისა... მოვიდა ხილუად ჩემად ლარნაკ ქალაქით უმოკუცებულესი მიტროპოლიტი კიტისა მელეტიო თჳსის კრებულით“... „მიგვიღო მთლად სამღუდელომან კრებულმან უნეტარესისა არხიეპისკოპოსისა კიპრიანესმან მრავალთა აქაურთა კეთილშობილთა დასწრებითა;... მოგვეგება თვთ იერარხი კიპრიანე, მიმღები ჩუენი სრულითა სიხარულითა და სიყუარულითა“... „ეკლესიასა შინა წმიდისა იოანე ღმრთისმეტყულისასა მიველ მოსმენად საღმრთოჲსა ლიტურგიისა. ოდესცა გამოსუწნებულსა წმიდასა სახარებასა ემთხჳა უნეტარესი კიპრიანე, უბრძანა შემწირულსა მღუდელსა მოსვენებად ჩემდაცა წმიდისა სახარებისა სამთხუწვრად ჩემად. კუწრექსთა და ყოველთა მათ დროთა შინა მოსაჯსენებელთა იყო მოჯსენებაჲცა გიორგი ავალოვისა“... „მოვიდა ჩემდა არხიმანდრიტი ერთი,... და აღმიყუანა მარჯუწნით კერძო კანკელისა მეორესა ტახტსა საარხიეპისკოპოსოსა, რომელსა ზედა დგების მწყემსმთავარი ესე სადაგთ დღეთა შინა“... „შემდგომად საღმრთოჲსა ლიტურგიისა შეკრბნენ ყოველნი ჩინებულნი სადგომსა ჩემსა ანუ ღიმნაზიასა, სადაცა მობრძანდა ესრეთუწ არხიეპისკოპოსი კიპრიანე მანტიითა და სკიპტრითა, ხლებული სულიერთა კრებულთა მიერ და ძღვომილი ჯუარ-ლამპრებ-მგალობლებითა. მიმგებებელნი მისდა ზალასა შინა, გვაკურთხნა. მისცა სკიპტრაჲ მანტიითუტთ სხუასა და, შემსლულლი ჩუწნითურთ ოთაღსა შინა, დაჯდა დივანსა; დამისუა ახლოს თჳსსა და უბრძანა სხუათაცა დასხდომად“... „უნეტარესმან მღუდელმთავარმან კიპრიანე.. მაჩუქა

ბერძულად დაბეჭდული ისტორიაჲ კიპრიისა ჭალაკისა და მათხოვა ნავი თვისი კირინიადთ თარსუდმდე მიყუანებად ჩემსა და კუალად თხოვისა ძლით ჩემისა, მომცა წითლითა ასოებითა ჳელმოწერილი წერილი ცოდუათა ჩემთა შენდობისა და მოტევებისა“⁶⁶...

გიორგი ავალიშვილი თავის თხზულებაში აღწერს კვიპროსის ეკლესიის გაჭირვებულ მდგომარეობას⁶⁷. იგი გულისტკივილით ყვება ოსმალთაგან გაპარტახებული და მაჩეთებად გადაქცეული ეკლესია-მონასტრების შესახებ⁶⁸.

კუნძულზე ყოფნისას მან შეიტყო, რომ კვიპროსის ოსმალური ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირი, მოასილი აჰმად რაშიდი, წარმოშობით ქართველი იყო; რომ იგი მეგობრობდა კვიპროსის ეკლესიის მეთაურთან უნეტარეს კვიპრიანესთან და კარგად ეპყრობოდა კვიპროსელ ქრისტიანებს. როგორც ჩანს, აჰმად რაშიდი, რომლის ქართული სახელიც ჩვენთვის უცნობია, ტყვეთამსყიდველების მიერ იქნა სამშობლოს მოწყვეტილი და შემდეგ, განგების ძალით, უცხოობაში გადიდკაცება ხვდა წილად. აი რას წერს გიორგი ავალიშვილი მის შესახებ:

„კაცმან მან, მიმღებმან ჩუწმან წინააღმდეგად სჯულთა ოსმანიანთა... დაგვისხნა თვისთანა; შეგვაქცივნა ჩუწულეზრივითა საუზმითა და ალერსითა,... მოასილი ესე არს წელთა შინა სიჭაბუკისათა, უწყის ენანი ფრანცუზული, იტალიური, ბერძული, არაბული, თათრული და ნუუკუწ ქართულიცა, ვინადთგან აღიარებენ მას ყოველნი აქაურნი გურჯად, ესე იგი ქართუწლად; სახით შუწნიერ, ქცევა-უზნობასა შინა ზრდილობიან და ზოგად ერთა მიერ შეყუარებულ“⁶⁹.

⁶⁶ . გ. ავალიშვილი, ხს. წიგნი, გვ. 262, 270-271, 273, 275.

⁶⁷ . იქვე, გვ. 264, 269, 273.

⁶⁸ . იქვე, გვ. 272.

⁶⁹ . იქვე, გვ. 271.

გიორგი ავალიშვილი, ისევე როგორც კვიპროსზე ნამყოფი მისი წინამორბედი ქართველი მომლოცველები და მოგზაურები მეუფე ტიმოთე და მეუფე იონა, თავის თხზულებაში მოკლედ მოგვითხრობს კვიპროსის ეკლესიის ცალკეული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ⁷⁰. იგი ასევე აღნიშნავს, რომ გადასახადების სიმძიმის გამო მოსახლეობის ნაწილი იძულებული ხდებოდა ოსმალთა თვალის ასახვევად მიეღო ისლამი⁷¹. როგორც ცნობილია, ასეთებს ლინობამბაკებს ეძახდნენ. ლინობამბაკი ორსახოვანი ქსოვილია, რომელიც კვიპროსზე იწარმოებოდა⁷². კვიპროსელი ლინობამბაკები დღისით მუსლიმთა სალოცავებში იდრეკდნენ მუხლს, ხოლო, როგორც კი დაღამდებოდა, ფარულად აღავლენდნენ ლოცვებს იესო ქრისტეს მიმართ. მათი მდგომარეობა ძალზედ ჰგავდა საქართველოს სამხრეთ პროვინციებში მცხოვრები ფარული ქრისტიანების ხვედრს, რომლებიც იძულებული იყვნენ მიწისქვეშა დარანებისთვის შეეფარებინათ თავი და მუსლიმ დამპყრობელთა მოსაჩვენებლად მიეღოთ ისლამი.

× × ×

დასასრულ აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ მწიგნობრული ურთიერთობების შესახებაც, რომელიც ძველი დროიდან აკავშირებდა საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიებს. ქართულ ენაზე ძველთაგანვე ითარგმნებოდა ცნობილი კვიპროსელი მამების თხზულებები. მაგალითად ჩვენამდე მოღწეულია ალექსანდრე კვიპრელის⁷³ „საკითხავი

⁷⁰ . იქვე, გვ. 276-278.

⁷¹ . იქვე, გვ. 280.

⁷² . History of Cyprus, Turkish Period (1571-1878), ელ. ვერსია: <http://www.yourcyprus.com/history/hist12.htm>.

⁷³ . რომელი იყო მონაზონი ქალაქისა ამათონტისაჲ.

პოვნისათვის ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაა⁷⁴; არკადი კვიპრელის „ცხოვრებად და განგებად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სჳმიონ მესუეტისაა“⁷⁵ - აგიორგაფიული ძეგლი, სადაც მეტად ფასეულ ცნობებს ვხვდებით ქართველების შესახებ; მოღწეულია ასევე ეპიფანე კვიპრელის არაერთი თხზულების ძველი ქართული თარგმანი⁷⁶.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ეპიფანე კვიპრელი (+403 წ.) არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იმ უცხოელ ავტორთაგან, რომელიც გვაწვდის ცნობებს საქართველოში წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქადაგების შესახებ. წმიდა ეპიფანე, მის ხელთ არსებული საბუთების მიხედვით, წმიდა ანდრია პირველწოდებულის ცხოვრებაში ადასტურებს საეკლესიო გარდამოცემის მართებულობას იმის შესახებ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა იქ, „სადაც მდებარეობს აფსართა ციხე-სიმაგრე, ისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი, და სადაც ცხოვრობენ იბერიელები“⁷⁷. ეპიფანე კვიპრელი ასევე გვაუწყებს ქართველთა წარმომავლობის შესახებ. მის ნაწერებში ვხვდებით ცნობებს ლაზების, იბერიელებისა და მოსინიკების შესახებ.

კვიპროსელი ავტორების ძველი ქართული თარგმანებიდან ასევე ცნობილია ლეონტი ნიკოპოლელი ეპისკოპოსის აგიოგრაფიული თხზულებები - „ცხოვრებად და განგებად აშბა სჳმიონისი, რომელსა ეწოდა ღმრთისათვის სალოსი“ და „ცხოვრებად წმიდისა მამისა იოვანე მოწყალისაა

⁷⁴ . კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები, 5, თბ., 1957 წ., გვ. 10.

⁷⁵ . იქვე, გვ. 16.

⁷⁶ . იქვე, გვ. 47-48.

⁷⁷ . მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995 წ., გვ. 167. დამოწმებულია: Migne, PG, CXX, p. 221; იხ. Le Quien, Oriens Christianus, I, p. 1334.

ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისადა⁷⁸. ეს იოანე ალექსანდრიელი, რომელიც მოწყალეს სახელით არის ცნობილი, წარმოშობით კვიპროსელი იყო. მის მიერ დაწერილი „ცხოვრება და მოქალაქობა ჴმიდისა ტუზონ ამათუნტელ ეპისკოპოსისადა“ (მეუფე ტიხონიც კვიპროსელი მოღვაწე გახლდათ) ასევე ითარგმნა ძველქართულად⁷⁹. ქართული ეკლესია-მონასტრების წიგნთსაცავებში სხვა კვიპროსელი მოღვაწეების თხზულებების ქართული თარგმანებიც იყო ძველთაგანვე შეკრებილი. ასე რომ, კვიპროსელი მამების ღმრთივსულიერი წიგნები საუკუნეთა მანძილზე სულიერად აღაშენებდნენ ჩვენს წინაპრებს.

× × ×

და კიდევ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მიუხედავად მრავალწლიანი ათეისტური მარწუხებისა, რომლებშიც მოქცეული იყო საქართველო, ქართველი მეცნიერები შეძლებისდაგვარად მაინც იხდიდნენ ვალს დედა ეკლესიის წინაშე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ სწორედ საბჭოთა პერიოდში, კერძოდ 1980-იან წლებში, მოხერხდა კვიპროსზე ჟალიას ქართული მონასტრის ნაშთების მიგნება, რომელიც მანამდე დაკარგულად ითვლებოდა. ეს დიდებული აღმოჩენა დაკავშირებულია ცნობილი ელინისტის, ბატონი ავთანდილ მიქაბერიძის სახელთან⁸⁰. კვიპროსის ქართული სავანე შეისწავლა ემიგრაციაში მოღვაწე დიდებულმა ქართველმა მეცნიერმა და მამულიშვილმა ვახტანგ ჯობაძემ.

⁷⁸ . კ. კეკელიძე, ხს. წიგნი, გვ. 93-94.

⁷⁹ . იქვე, გვ. 63.

⁸⁰ . პაატა ნაცვლიშვილი, „აღმოჩნდა (მის მიერ ნაპოვნი ღალიას შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 20 ოქტომბერი 1983 წ., გვ. 4; ვ. ჯობაძე, ხს. შრომა, გვ. 167-179.

მოხერხდა ასევე ის, რომ ქართული დელეგაცია ეწვია კვიპროსს ახლადმიკვლეული ქართული სავანის კინოფირზე გადაღების მიზნით. ეს იმხანად არსებული რკინის ფარდის პირობებში სერიოზულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაშინ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა წერილით მიმართა პაფოსის მიტროპოლიტს, რომლის ეპარქიაშიც მდებარეობს ღალიას ქართული სავანის ნაშთები, რომ მას დახმარება აღმოეჩინა იქ ჩასული ქართული დელეგაციისთვის⁸¹. ამგვარად მოხერხდა ღალიას სავანის გადაღება კინოფირზე, რაც იმ დროს მართლაც დიდი მოვლენა იყო.

× × ×

საბჭოთა ათეისტური მარწუხებიდან საქართველოს გათავისუფლების შემდეგ დაიწყო ახალი, თავისი მნიშვნელობით ნამდვილად ისტორიული ეტაპი, კვიპროსისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიების ურთიერთობებში. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან შესამჩნევი გახდა ჩვენს ეკლესიებს შორის ურთიერთობების გაცხოველება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სოციალური სიძნელეების გამო საქართველოდან კვიპროსზე შრომითი მიგრანტების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ნაწილმა მოიყარა თავი. ეს ადამიანები სავსებით ბუნებრივად გადაიქცნენ საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიების დამაკავშირებელ ხიდად.

გარდა ამგვარი სახალხო კავშირებისა, ჩვენს ეკლესიებს შორის ოფიციალურ დონეზეც გაცხოველდა ურთიერთობები. 2001 წლის ივნისში საქართველოს ეკლესიის საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია კუნძულ კვიპროსს. ვიზიტი განხორციელდა კვიპროსის ეკლესიის მეთაურის

⁸¹. ს. ცისკარიშვილი, ხს, წერილი, გვ. 9.

არქივისკოპოს ქრიზოსტომოსის მიწვევით. იგი ნამდვილად ისტორიული იყო, რადგან ისტორიას არ ახსოვს სხვა შემთხვევა საქართველოს ეკლესიის მწმემსმთავრის მიერ კვიპროსზე მომლოცველობის შესახებ.

მის უწმიდესობას თან ახლდნენ გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე კალისტრატე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი, ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი⁸², არქიმანდრიტი ზენონი, არქიმანდრიტი ილარიონი, არქიდიაკონი დემეტრე, კიდევ სხვა სასულიერო და საერო პირები და ვაჟთა მგალობელთა გუნდი.

აღნიშნული ვიზიტის დროს, ქართულ დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა კვიპროსის ეკლესიის წმიდა სინოდთან. კვიპროსის ეკლესიის მეთაურმა, უნეტარესმა ქრიზოსტომოსმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს გადასცა კვიპროსის ეკლესიის ჯილდო - წმიდა ბარნაბა მოციქულის ორდენი.

მისმა უწმიდესობამ კვიპროსის სხვა წმიდა ადგილებთან ერთად ღალიას ქართველთა მონასტრის ნანგრევებიც მოილოცა და იქვე გასცა კურთხევა ამ სავანის აღდგენის შესახებ⁸³.

უფრო ადრე, 1996 წლის ივნისში, როდესაც აღინიშნა კვიპროსის ეკლესიის დაარსების 1950-ე წლისთავი, საქართველოს ეკლესიის სახელით საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობდა ფოთის ეპისკოპოსი, მეუფე გრიგოლი⁸⁴.

2001 წელს კვიპროსზე დაფუძნდა საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო-კულტურული ცენტრი, რომელსაც

⁸² . მეუფე დიმიტრი უფრო ადრეც, 1990-იანი წლების დასაწყისშიც იმყოფებოდა კვიპროსზე.

⁸³ . ზურაბ თორია, „ქართული ცრემლი და ახალი სასწაული კვიპროსის მიწაზე“ (ინტერვიუ მეუფე დიმიტრისთან), გაზ. „თბილისი“, 26 ივლისი 2001 წ., #84(19498), გვ. 5.

⁸⁴ . თემურ კალანდამე, „კვიპროსის ეკლესიის 1950 წლისთავი“, გაზ. „მადლი“, 23 ივნისი 1996 წ., #5(110), გვ. 8.

სათავეში ჩაუდგა მამა ზაქარია (ფერაძე). საპატრიარქოს ცენტრის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ჭედური ხელოვნების ცნობილი ოსტატი ბატონი თამაზ გოზალიშვილი, რომლის ნამუშევრებიც ამშვენებს კვიპროსის არაერთ მონასტერს და ბატონი მიხეილ ებანოიძე, რომელიც არის ძველი ხატების ცნობილი რესტავრატორი⁸⁵.

× × ×

ბოლოს ჩვენი წიგნი გვინდა დავასრულოთ იმ ისტორიული სიტყვებით, რომლითაც, კუნძულ კვიპროსზე შეხვედრისას, ერთმანეთს მიმართეს საქართველოს პატრიარქმა და კიკოს მონასტრის ილუმენმა.

მისი უწმიდესობა, ილია მეორე:

„გულითადად მოგესალმებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის, სამღვდელოებისა და ქართველი ხალხის სახელით. ჩვენ დიდი სიყვარულით ჩამოვედით თქვენს ბრწყინვალე ქვეყანაში და გვაქვს სურვილი, გავაგრძელოთ ის მძური ურთიერთობა, რომელიც საქართველოსა და კვიპროსს შორის უძველესი დროიდან არსებობდა“...

„...კვიპროსს და საქართველოს უჩვეულოდ მრავალი მსგავსი ტკივილი და იხარული აქვს. ვფიქრობთ, დადგა დრო აღვადგინოთ საუკუნეობრივი ტრადიცია, უფრო ღრმად გავეცნოთ ერთმანეთს და განვამტკიცოთ ორმხრივი ურთიერთობები“...

⁸⁵ . მაია კობახიძე, „კვიპროსულ-ქართული ურთიერთობები“ (ინტერვიუ თამაზ გოზალიშვილთან), გაზ. „დილის გაზეთი“, 20 ივლისი 2002 წ., #166(1879), გვ. 5.

მაღალღირსი ნიკიფოროსი, კიკოს მონასტრის ილუმენი:

„თქვენო უწმიდესობავ, თქვენს ჩამობრძანებას ჩვენ ვიზიარებთ, როგორც ჩვენს ქვეყნებს შორის უწყვეტი მეგობრული კავშირის განახლებას, რომელიც ამ მონასტერს საქართველოს წმიდა ეკლესიასთან ოდითგან აერთიანებდა“...

„უწმიდესო მეუფეო, დიდი მადლობა ყოველივე ამისთვის. მადლობასთან ერთად გარწმუნებთ, რომ ის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც გაიყინა 1917 წლის რევოლუციასთან ერთად, თბება თქვენი ვიზიტის შედეგად და მომავალში ამ ურთიერთობების უფრო მეტ განვითარებას ვისურვებდით.

ქართულ მიწას მიზარებული კიკოს მონასტრის ბერების ძვლები თქვენთვისაც და ჩვენთვისაც წმიდა მემკვიდრეობას წარმოადგენს“.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. გიორგი ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ელენე მეტრეველის გამოცემა, თბ., 1967 წ.
2. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956 წ.
3. იონა გედევანიშვილი, მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისაა, პლატონ იოსელიანის გამოცემა, თფილისი, 1852 წ.
4. ოთარ გიგინეიშვილი, „კვალი კვიპროსისაკენ მიდის“, გაზ. „კომუნისტი“, 6 იანვარი 1963 წ., #5(12517).
5. მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995 წ.
6. თვენი, ქართველ წმიდანთა ცხოვრება, ზუგდიდი, 1997 წ.
7. ზურაბ თორია, „ქართული ცრემლი და ახალი სასწაული კვიპროსის მიწაზე“ (ინტერვიუ მეუფე დიმიტრისთან), გაზ. „თბილისი“, 26 ივლისი 2001 წ., #84(19498), გვ. 5.
8. თემურ კალანდაძე, „კვიპროსის ეკლესიის 1950 წლისთავი“, გაზ. „მადლი“, 23 ივნისი, 1996 წ., #5(110), გვ. 8.
9. კორნელი კეკელიძე, „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“, ეტიუდები, 5, თბ., 1957 წ.
10. მაია კობახიძე, „კვიპროსულ-ქართული ურთიერთობები“ (ინტერვიუ თამაზ გოზალიშვილთან), გაზ. „დილის გაზეთი“, 20 ივლისი 2002 წ., #166(1879), გვ. 5.
11. ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, 2, თბ., 1980 წ.
12. პაატა ნაცვლიშვილი, „აღმოჩნდა!“ (მის მიერ ნაპოვნი ღალიას შესახებ), გაზ. „კომუნისტი“, 20 ოქტომბერი 1983 წ.
13. სინური მრავალთავი, აკაკი შანიძის გამოცემა, თბ., 1959 წ.

14. **ქართლის ცხოვრება**, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1, თბ., 1955 წ.; 2, თბ., 1959 წ.
15. **ქართლის ცხოვრება**, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1942 წ.
16. **ქართული მწერლობა**, ლექსიკონი-ცნობარი, წიგნი I, თბ., 1984 წ.
17. თინა **ცერაძე**, „ერთი ფაქტი ქართულ სამწიგნობრო კერათა ურთიერთობის ისტორიიდან“, კრ. ანამკვი, ისტორიულ-ფოლოლოგიური ძიებანი, თბ., 2002 წ.
18. სოსო **ცისკარიშვილი**, „თქვენ ხომ გზალიათ, ბატონო ათინოდოროს?!“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 20 მარტი 1987 წ., #12(2584), გვ. 9.
19. **გიორგი ათონელი**, იოანესა და ეფთემეს ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967 წ.
20. **უცნობი ავტორი**, ნიკოლოზ დვალის წამება, ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები, ილია აბულაძისა და ენრიკო გაბიძაშვილის გამოცემა, წიგნი IV, თბ., 1968 წ.
21. ივანე **ჯავახიშვილი**, „კვიპროსში თვისტომთა ნაკვალევზე“, გაზ. „წიგნის სამყარო“, 14 თებერვალი 1973 წ., #3(111).
22. ვახტანგ **ჯობაძე**, შენიშვნები კვიპროსის ქართული მონასტრის ჟალიას (ღალიას) შესახებ, მაცნე, ენის... სერია, 1987 წ., #4.
23. **Акты** Собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, т. 1, Тифлиси, 1866 г.
24. Ольга **Курова**, Остров Святых, ელ. ვერსია: <http://www.pravoslavie.ru/cgi-bin/sykon/client/display.pl?sid=538&did=368>
25. **Поместные** Правлславные Церкви, сборник, изд. Сретенского Монастыря, М., 2004 г.
26. Рональд **Робертсон**, Восточные Христианские Церкви, Церковно-исторический справочник, гл. 3, § 10 – Кипрская

- Православная Церковь, ელ. ვებსაი: <http://www.logos.cy.net/cyprus/chmain.html>
27. Галинна **Росси**, Последний Король Иерусалима, ელ. ვებსაი: <http://www.globalfolio.net/monsalvat/fsdominus/statiibook/guylusignan/lus11.htm>
28. **Скурат** К.Е., История Поместных Православных Церквей, учебное пособие, т. 2, М., 1994 г., гл. 5 – Кипрская Православная Церковь, ელ. ვებსაი: <http://www.sedmitza.ru/index.html?did=4814>
29. Иеромонах Даниил (**Сычев**), Православный Кипр, островные заметки, ელ. ვებსაი, http://www.voskres.ru/obiteli/kipr_printed.htm
30. Иеромонах Даниил (**Сычев**), Честный Крест Православного Кипра, ელ. ვებსაი, <http://www.st-tatiana.ru/index.html?did=1549>
31. **Шабатин** И., Кипрская Православная Церковь, краткие исторические заметки, Журнал Московской Патриархии, 1955 г., №1.
32. **History** of Cyprus, The Frankish Period (1191-1571), ელ. ვებსაი, <http://www.cosmosnet.net/cyprus/history/hist11.htm>
33. **History** of Cyprus, The Turkish Period (1571-1878), ელ. ვებსაი, <http://www.cosmosnet.net/cyprus/history/hist12.htm>